საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდება

(დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრების მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს)

(2023 წლის 19 დეკემბრის წევრთა საერთო კრების დავალებით 2023 წლის 27 დეკემბრის საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულია წესდების 4.7., 7.1.,10.2, 10.3, 10.5 (ვ), 11, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8 გარდამავალი მუხლები).

1. ზოგადი დებულებანი

1.1. აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლის მისიაა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და კონსოლიდაცია, დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაცია და მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება ქვეყანაში გაუმჯობესებული საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

1.2. საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია არის საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ყველაზე პერსპექტიული გზა და პლატფორმაში გაწევრიანებით იღებენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ამ პროცესს.

1.3. საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრი.

2. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიზნები

2.1. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიზნებია:

ა) ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება როგორც ეროვნულ,

ისე ევროპულ დონეზე საჯარო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სფეროებს შორის დიალოგის ხელშეწყობის გზით;

ბ) საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება;

გ) პლატფორმის ფუნქციონირების ეფექტურობის უზრუნველყოფა დასახული მიზნების მისაღწევად.

დ) აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტების დეკლარაციებით და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა, მათ შორის:

- ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი დოკუმენტების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორტეტული სფეროებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მათ შორის ვაჭრობისა და ინვესტირების მარეგულირებელი კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება ყველა სფეროში;
- სათანადო პირობების შექმნა ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ეფექტური განხორციელებისთვის;
- მონაწილეობის მიღება ასოცირების ხელშეკრულების 412 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (შემდგომში ქართულ-ევროპული პლატფორმა) და ამავე ხელშეკრულების 241 მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის ფორმირებაში მონაწილეობა;
- დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის სფეროში;
- მოქალაქეების გადაადგილების და უსაფრთხო გარემოში მათთვის ვიზების გამარტივების მხარდაჭერა;
- ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება და თანამშრომლობა გრძელვადიანი, სტაბილური და უსაფრთხო ენერგომოწოდების და ტრანზიტის სფეროში;
- მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა;
- ბიზნესის განვითარების, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა;
- სოციალური დიალოგისა და პარტნიორობის ხელშეწყობა
- კვლევა, ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაცია
- განათლება, ტრეინინგი და ახალგაზრდობა
- სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება
- ტრანსპორტი
- თანამშრომლობა კულტურის სფეროში
- რეგიონული განვითარება და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა

ე) სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებაში, მათ შორის, ინფორმირების, ჩართულობისა და ურთიერთთანამშრომლობის გზით.

ვ) საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

3. საქმიანობის ფორმები

3.1. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ეროვნული პლატფორმა:

ა) ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ;

ბ) ქმნის ხუთ სამუშაო ჯგუფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი თემატური პლატფორმის შესაბამისად და ქვეჯგუფებს აღმოსავლეთ პარტნიორობის საფლაგმანო ინიციატივებისა და სხვა მიმართულებების შესაბამისად წესდების მე-9 მუხლით განსაზღვრული წესით;

გ) განიხილავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი თემატური პლატფორმისა და პარტნიორობის სპეციალური ინიციატივების განხორციელებას საქართველოში, მათ შორის შესწავლისა და მონიტორინგის გზით;

დ) საზოგადოებას აცნობს შესწავლისა და განხილვის შედეგებს;

ე) საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებს წარუდგენს განხილვის შედეგებს რეკომენდაციების/მოსაზრებების სახით;

ვ) თანამშრომლობს სამოქალაქო ორგანიზაციებთან და საქართველოს საჯარო სამსახურებთან;

ზ) ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ გაზიარებული რეკომენდაციების სწორ და ეფექტიან განხორციელებას საქართველოში;

თ) თანამშრომლობს ევროკავშირის წარმომადგენლობასთან საქართველოში და ევროკომისიასთან;

ი) თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმებთან;

კ) თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მონაწილე საერთაშორისო, ევროკავშირისა და მესამე ქვეყნების სამოქალაქო
- საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ლ) თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამუშაო ჯგუფებთან, მმართველ კომიტეტთან და სხვა სტრუქტურებთან;

მ) თანამშრომლობს ქართულ-ევროპულ პლატფორმასთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმთან.

ნ) ხელს უწყობს დიალოგზე დაფუძნებულ თანამშრომლობას აღმასრულებელ, საკანონმდებლო ხელისუფლებასთან (როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე) და სასამართლოსთან.

4. ეროვნული პლატფორმის წევრობა

4.1. ეროვნული პლატფორმის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლებიც იზიარებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის მიზნებსა და ღირებულებებს, გარდა იმ პირებისა, რომელთა დამფუძნებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

4.2. წინამდებარე მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაცია:

ა) რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტისთვის არაუგვიანეს 2 წლისა;

ბ) უნდა გააჩნდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი თემატური პლატფორმის რომელიმე სფეროში/სფეროებში მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;

გ) უნდა გააჩნდეს შესაბამისი ადამიანური რესურსი პლატფორმის საქმიანობაში სტაბილური მონაწილეობისთვის.

4.3. წევრობის მსურველი ორგანიზაციები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციით, შეიძლება მოწვეულ იქნენ ასოცირებულ წევრებად, რომლებიც სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობენ დამკვირვებლის სტატუსით.

4.4. პლატფორმის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს, რომელშიც მიუთითებს იმ პირის/პირთა შესახებ, რომლებიც წევრად მიღების შემთხვევაში წარმოადგენენ წევრობის მსურველ ორგანიზაციას პლატფორმასთან ურთიერთობაში. საკონტაქტო პირები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები და პოლიტიკური პარტიების თანამდებობის პირები. დაუშვებელია პლატფორმაში ან მის ჯგუფებში ორი სხვადასხვა ორგანიზაცია წარმოდგენილი იყოს ერთი და იმავე ფიზიკური პირით.

4.5. წერილობით განცხადებას თან უნდა ერთვოდეს წევრობის მსურველის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის და ორგანიზაციის წესდების ასლები, ასევე ინფორმაცია ორგანიზაციის თანამშრომელთა რაოდენობის და განხორციელებული პროექტების შესახებ.

4.6. საკოორდინაციო საბჭო წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არაუგვიანეს 2 თვისა სამუშაო ჯგუფის წევრებთან კონსულტაციის საფუძველზე.

4.7. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა ორგანიზაციამ, მოქმედი საბჭოს თანათავმჯდომარეებს უნდა წარუდგინოს თანხმობის წერილი ეროვნული პლატფორმის მიზნების მოწონების, გაზიარების და ეთიკის კოდექსის სავალდებულოდ აღიარების შესახებ.

4.8. ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაცია უნდა მონაწილეობდეს ეროვნული პლატფორმის სულ ცოტა ერთი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში ორგანიზაციის საქმიანობის სფეროსა და გამოცდილების შესაბამისად.

4.9. ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელ ერთი და იგივე ფიზიკურ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ერთდროულად არაუმეტეს ორი სამუშაო ჯგუფის და ორი ქვეჯგუფის მუშაობაში, ერთში – კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით, ხოლო მეორეში – სათათბირო ხმის უფლებით. ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელ სხვადასხვა ფიზიკურ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ორივე სამუშაო ჯგუფის მუშაობაში კენჭისყრის უფლებით.

4.10. ეროვნული პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფებში მიკუთვნების საკითხს წყვეტს საკოორდინაციო საბჭო წევრობის მსურველი ორგანიზაციის განაცხადის საფუძველზე.

4.11. საკოორდინაციო საბჭო წევრობის მსურველ ორგანიზაციას წერილობით აცნობს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პლატფორმაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ.

5. ეროვნული პლატფორმის წევრობის შეწყვეტა

5.1. ეროვნული პლატფორმის წევრს უფლებამოსილება უწყდება: ა)

საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას;

5.2. ეროვნული პლატფორმის გადაწყვეტილებით პლატფორმის წევრი ორგანიზაცია შეიძლება გაირიცხოს თუ:

ა) იგი უხეშად არღვევს წესდებით დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) მისი წარმომადგენელი უხეშად არღვევს ეთიკის კოდექსით დადგენილ წესებს

გ) იგი ან მისი წარმომადგენელი მიზანმიმართულად ეწევა პლატფორმის მიზნების დისკრედიტაციას.

დ) მისი წარმომადგენელი საკოორდინაციო საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად არ მონაწილეობს სამუშაო ჯგუფის/ჯგუფების გეგმიურ შეხვედრებში:

1) სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ან/და საერთო კრების არასაპატიო გაცდენა ზედიზედ ოთხჯერ;

2) პლატფორმის სახელით მომზადებულ წერილებზე, საჯარო განცხადებებსა და მიმართვებზე გამოხმაურებისგან თავის შეკავება ზედიზედ წლის განმავლობაში;

3) პლატფორმის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, მათ შორის, სექტორულ შეხვედრებზე დაუსწრებლობა წლის განმავლობაში;

ე) პლატფორმის წევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელს უნდა ეცნობოს მისი წარმომადგენლის მიერ ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შესახებ და მიეცეს გონივრული ვადა წევრის გაწვევისათვის. თუ პლატფორმის წევრი არ გაიწვევს წარმომადგენელს და პლატფორმას არ შესთავაზებს ახალ წარმომადგენელს იგი გაირიცხება პლატფორმიდან ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

5.3. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით პლატფორმის წევრს წინამდებარე მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შეიძლება შეუჩერდეს პლატფორმის წევრობა საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ეროვნული პლატფორმის შემდგომ საერთო კრებამდე.

5.4. გადაწყვეტილება წევრობიდან გარიცხვის შესახებ მიიღება ფარული კენჭისყრით ეროვნული პლატფორმის კრების დამსწრეთა უმრავლესობით;

6. ეროვნული პლატფორმის წევრთა უფლება-მოვალეობანი

6.1. ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციას უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრთა არჩევის პროცესში და მისი წარმომადგენელი არჩეულ იქნას ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოში მხოლოდ ერთ მის მიერ წინასწარ დადგენილ ჯგუფში;

ბ) არაუგვიანეს 3 კალენდარული დღით წინასწარ შეტყობინების საფუძველზე, ესწრებოდეს საკოორდინაციო საბჭოს სხდომებს. საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დასწრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს საკოორდინაციო საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრისთვის გამოყოფილი ფართი ან დრო არ იძლევა დასწრების საშუალებას;

გ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოსგან ეროვნული პლატფორმის საქმიანობის შესახებ, მათ შორის, არაუგვიანეს 3 დღით ადრე საბჭოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ, შემდგომ ოქმი, შეხვედრის დასრულების თარიღიდან ერთი კვირის ვადაში;

დ) საერთო კრებას/საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინოს წინადადება ეროვნული პლატფორმის სახელით განცხადების/მიმართვის გავრცელების თაობაზე.

ე) საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინოს საკუთარი ორგანიზაციის ან სხვა წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლის კანდიდატურა სხვადასხვა სამუშაო ფორმატებში მონაწილეობის მისაღებად.

6.2. ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაცია მოვალეა:

დ) წინასწარ განსაზღვრული არა უმეტეს ერთი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობდეს ეროვნული პლატფორმის საერთო კრების მუშაობაში;

ე) წინასწარ განსაზღვრული არა უმეტეს ერთი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობდეს ეროვნული პლატფორმის საერთო ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში; წარმომადგენლის ჩანაცვლება შეიძლება წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

ვ) წინასწარ განსაზღვრული სხვადასხვა წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობდეს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფებში;

ზ) შეასრულოს ეროვნული პლატფორმის წესდება და საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
თ) პლატფორმის წევრ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში იხელმძღვანელოს ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმებით;
ი) გაუფრთხილდეს ეროვნული პლატფორმის ღირსებას;

7. ეროვნული პლატფორმის საერთო კრება

7.1. ეროვნული პლატფორმის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ეროვნული პლატფორმის საერთო კრება, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ მაინც. კრება მოიწვევა საკოორდინაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ან წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

7.2. ეროვნული პლატფორმის საერთო კრების დღის წესრიგში ეროვნული პლატფორმის წესდების ცვლილების საკითხის შეტანას წყვეტს პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილია პლატფორმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით;

7.3. ეროვნული პლატფორმის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ზე მეტი. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს მოცემულ მომენტში დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.

7.4. საერთო კრებაში ეროვნული პლატფორმის თითოეული წევრი ორგანიზაცია წარმოდგენილია ერთი მონაწილით. ყოველ წევრ ორგანიზაციას აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლისთვის დაუშვებელია.

7.5. ეროვნული პლატფორმის საერთო კრება:

ა) ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ირჩევს საკოორდინაციო საბჭოს წევრებს წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ერთი წლის ვადით. საკოორდინაციო საბჭოს წევრებად ასარჩევ კანდიდატურებს საერთო კრებას სთავაზობს თითოეული სამუშაო ჯგუფი. საერთო კრებაზე კენჭი ეყრება კრებაზე დასახელებულ და სამუშაო ჯგუფის მიერ წამოყენებულ ყველა კანდიდატურას. არჩეულად ითვლება წარმოდგენილი კანდიდატურიდან ის ორი კანდიდატურა, რომელიც დააგროვებს მეტ ხმებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;

ბ) ისმენს ეროვნული პლატფორმის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს;

გ) დამსწრეთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული პლატფორმის წევრის პლატფორმიდან გარიცხვის შესახებ;

დ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული პლატფორმის სახელით განცხადების/მიმართვის გავრცელების თაობაზე, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით გადაწყვეტილების მიღებისათვის, სავალდებულოა საკითხის სადისკუსიოდ გამოტანა საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე სულ ცოტა 3 დღით (72 საათით) ადრე;

იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას, საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ეროვნული პლატფორმის სახელით განცხადების გამოქვეყნების შესახებ.

ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს, საბჭოს მიერ შემუშავებული განცხადების გავრცელებამდე, განსაზღვრულ დროში, შეუძლიათ შემოუერთდნენ განცხადების ტექსტს და დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია. ამ შემთხვევაში განცხადების გავრცელება მოხდება ეროვნული პლატფორმის სახელით და ხელმომწერი ორგანიზაციების მითითებით.

დ[1]) ამტკიცებს პლატფორმის ეთიკის კოდექსს;

დ[2]) დამსწრეთა უმრავლესობით (თუ სხდომას ესწრება არანაკლებ პლატფორმის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი) შეაქვს ცვლილება პლატფორმის წესდებაში და სხვა დოკუმენტებში;

ე) წევრთა 2/3-ისუმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას პლატფორმის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის შესახებ;

8. სამოქალაქო საზოგადოების ქართულ-ევროპულ პლატფორმასთან ურთიერთობა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების 412 მუხლის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ხელს უწყობს „სამოქალაქო საზოგადოების ქართულ- ევროპული პლატფორმის“ (შემდგომში „ქართულ-ევროპული პლატფორმა“) ფუნქციონირებას. ეროვნული პლატფორმიდან არჩეული წევრები პირდაპირ მონაწილეობენ ქართულ-ევროპული პლატფორმის საქმიანობაში. ქართულ- ევროპული პლატფორმის საქმიანობა განისაზღვრება ევროპულ მხარესთან შეთანხმებული სამუშაო განაწესით, რომლის შესაბამისადაც ქართული მხარე წარმოდგენილია 18 წევრით, მათ შორის - 9 ტიტულარული წევრია, ხოლო დანარჩენი 9 კი ალტერნატიული. ქართულ-ევროპული პლატფორმის წევრები თავად ირჩევენ თავმჯდომარეს და ტიტულარულ წევრებს, რომელთაც, ქართულ-ევროპული პლატფორმის განაწესის შესაბამისად, გააჩნიათ ფორმალური უფლება აღნიშნული პლატფორმის შეხვედრებზე კენჭისყრაში მონაწილეობისთვის. ალტერნატიულ წევრებს, სათათბირო ხმის უფლებით ასევე აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა პლატფორმის შეხვედრებში.

8.1. ქართულ-ევროპული პლატფორმის წევრები შემდეგი პროცედურების მიხედვით კომპლექტდება:

8.1.1.ეროვნული პლატფორმის საერთო კრებაზე კენჭისყრით, დასწრეთა უმრავლესობით, აირჩევა/დამტკიცდება ქართულ-ევროპული პლატფორმის 14 წევრი, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფებს შემდეგი სახით:

- პირველი ჯგუფი - 4 წევრი,
- მეორე ჯგუფი - 4 წევრი, მათ შორის 2 მეწარმეთა/დამსაქმებელთა ასოციაცია/კავშირი;
- მესამე ჯგუფი - 2 წევრი,
- მეოთხე ჯგუფი - 2 წევრი,
- მეხუთე ჯგუფი - 2 წევრი (პროფესიული კავშირი);

8.1.2.კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ, როგორც სამუშაო ჯგუფებს, ასევე ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს;

8.1.3.ქართულ-ევროპულ პლატფორმაში პირდაპირ, არჩევნების გარეშე, წევრის სტატუსით, მონაწილეობს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე;

8.1.4.დანარჩენ 3 წევრს საკოორდინაციო საბჭოს მიერ დადგენილი სამი მიმართულებით, კონკურსის წესით, პლატფორმის არაწევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წრიდან ირჩევს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან ეროვნული პლატფორმისგან დამოუკიდებელი ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები. ქართულ-ევროპულ პლატფორმაში არჩეული სამი წევრის მანდატი თანაბრად ნაწილდება დამოუკიდებელი პროფკავშირების, მეწარმეთა გაერთიანებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებზე. ეროვნული პლატფორმის სამდივნო უზრუნველყოფს პროცედურის ლოგისტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას.

8.2. ქართულ-ევროპული ეროვნული პლატფორმის წევრების განახლება ხდება ორ წელიწადში ერთხელ.

8.3. პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ მაინც, ტარდება ერთობლივი სამუშაო შეხვედრა ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოსა და ქართულ-ევროპული პლატფორმის მონაწილეობით ასოცირების ხელშეკრულების აქტუალური საკითხების განხილვის მიზნით;

8.4. ქართულ-ევროპული პლატფორმის წევრები თანამშრომლობენ ეროვნული პლატფორმის შესაბამისი მიმართულების ჯგუფებთან და ქვეჯგუფებთან

8.5. სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის წევრობის 5 კანდიდატი ირჩევა საკოორდინციო საბჭოს შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წრიდან ასოცირების ხელშეკრულების მეოთხე კარის 5 მიმართულების შესაბამისად

8.6. კრებაზე შეიძლება შეირჩეს ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ასევე სამეცნიერო წრეებს, რომლებიც მუშაობენ ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესაბამის მიმართულებებზე;

8.7. კრებაზე წევრობის კანდიდატებად შეიძლება შეირჩნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ ეროვნულ პლატფორმას.

9. ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფები და ქვეჯგუფები

9.1. წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ეროვნული პლატფორმა (საერთო კრება) ქმნის 5 სამუშაო ჯგუფს აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 თემატური პლატფორმის შესაბამისად. ეროვნული პლატფორმის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფებია: 1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა; 2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკისასთან კონვერგაცია; 3. გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილებები და ენერგეტიკული უსაფრთხოება; 4. ადამიანებს შორის კონტაქტი 5. სოციალური დიალოგი; ამავდროულად აღნიშნულ ჯგუფებში შესაძლებელია თემატური ან დარგობრივი ქვეჯგუფის (შემდგომში ქვეჯგუფი) შექმნა არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე;

9.2. ეროვნული პლატფორმის ქვეჯგუფები:

ა) ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების ფარგლებში პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები ქმნიან ქვეჯგუფებს.

ბ) ქვეჯგუფი იქმნება 1) აღმოსავლეთ პარტნიორობის საფლაგმანო ინიციატივების და ასოცირების ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი გამოწვევების შესაბამისად ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
2) ეროვნული პლატფორმის არანაკლებ ხუთი წევრის ინიციატივით შესაბამისი ჯგუფის კოორდინატორი საკოორდინაციო საბჭოს წარუდგენს აღნიშნულ ინიციატივას უახლოესი სხდომისთვის;

გ) ჯგუფის გადაწყვეტილებით კოორდინატორი საბჭოს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს ქვეჯგუფის შექმნის შესახებ ინიციატივას;

დ) ქვეჯგუფის კოორდინატორი სათათბირო ხმის უფლებით ესწრება საკოორდინაციო საბჭოს სხდომას შესაბამისი სამუშაო ჯგუფის თემატიკის განხილვის შემთხვევაში.

ე) ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის შეხვედრაზე წარმოდგენილი დამსწრეთა უმრავლესობით, გარდა 9.7 პინქტში განსაზღვრული წესისა.

9.3. სამუშაო ჯგუფი იკრიბება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. სამუშაო ჯგუფში მუშაობა ასევე შეიძლება წარიმართოს სამუშაო ჯგუფის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით;
9.4. სამუშაო ჯგუფი შედგება იმ ორგანიზაციების ერთი წარმომადგენლისგან, რომელთაც კონკრეტულ სამუშაო ჯგუფს მიაკუთვნებს საკოორდინაციო საბჭო საქმიანობის სფეროსა და გამოცდილების მიხედვით, წევრი ორგანიზაციის განაცხადის საფუძველზე;
9.5. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს სამუშაო ჯგუფის სახელით გადაწყვეტილება, თუ ინფორმაცია შეხვედრის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ ხელმისაწვდომი იყოს ჯგუფის ყველა წევრისთვის შეხვედრამდე სულ ცოტა 5 სამუშაო დღით ადრე. თუკი ჯგუფის წევრი ვერ ახერხებს ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობას, მას შეუძლია წინასწარ წერილობით წარადგინოს თავისი პოზიცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე ან მოითხოვოს მონაწილეობა სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;
9.6. სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს წინასწარ გავრცელებული დღის წესრიგის ფარგლებში, მოცემულ მომენტში დამსწრეთა უმრავლესობით. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრის თანხმობა.
9.7. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის 1/3 ის თანხმობის საფუძველზე ჯგუფის სახელით გაავრცელოს განცხადებები;
9.8. სამუშაო ჯგუფის მუშაობას წარმართავს სამუშაო ჯგუფის ორი კოორდინატორი, რომლებიც არიან საკოორდინაციო საბჭოს წევრები. კოორდინატორების კანდიდატურებს ასახელებენ ჯგუფები, საერთო კრების მოწვევამდე 2 დღით ადრე. ამასთან, პლატფორმის წევრებს საშუალება ეძლევათ საერთო კრებაზე, საარჩევნო პროცედურების დაწყებამდე, დაასახელონ სამუშაო ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატები. ეროვნული პლატფორმის საერთო კრება წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ფარული კენჭისყრით ერთი წლის ვადით ირჩევს ჯგუფების კოორდინატორებს;

10. ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო

10.1. საკოორდინაციო საბჭო ირჩევა საერთო კრების მიერ 1 წლის ვადით.

10.2. ეროვნული პლატფორმის მაკოორდინირებელი ორგანოა 12 წევრისაგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს წევრები არიან ჯგუფების კოორდინატორები, რომელთაც ხელმძღვანელობენ საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარეები.

10.3. საკოორდინაციო საბჭოს სხდომები იმართება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. საკოორდინაციო საბჭოს რიგგარეშე სხდომები მოიწვევა თანათავმჯდომარეების ურთიერთშეთანხმებით ან საკოორდინაციო საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით. ორივე თანათავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში საკოორდინაციო საბჭო ავალებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბჭოს წევრებს სხდომის ჩატარების და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე არანაკლებ 3 დღით ადრე, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ. ინფორმაცია საკოორდინაციო საბჭოს სხდომისა და დღის წესრიგის თაობაზე ვრცელდება საერთო ქსელში მის ჩატარებამდე სულ ცოტა 1 დღით ადრე.

10.4. საკოორდინაციო საბჭოს სხდომებს ასევე ესწრება ეროვნული კოორდინატორი სათათბირო ხმის უფლებით. ეროვნულ კოორდინატორს უფლება აქვს რეკომენდაციით მიმართოს საკოორდინაციო საბჭოს, სამუშაო ჯგუფებსა და ეროვნულ პლატფორმას. ეროვნული პლატფორმა უფლებამოსილია, ეროვნულ კოორდინატორს მოსთხოვოს პლატფორმის ინფორმირება მისი ორგანიზებით ან/და მონაწილეობით გამართულ საერთაშორისო ღონისძიებათა შედეგების შესახებ.

10.5. საკოორდინაციო საბჭო:

ა) იწვევს და ატარებს პლატფორმის საერთო კრებას. კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ აცნობებს ეროვნული პლატფორმის წევრებს არანაკლებ 10 დღით ადრე;

ბ) კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას პლატფორმის წევრად განმცხადებელი ორგანიზაციის მიღების შესახებ კოორდინატორების მიერ წინასწარ ჯგუფებში განხილვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) ეროვნული პლატფორმის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისთვის წარსადგენად აქვეყნებს ორი კვირით ადრე მაინც;

დ) განიხილავს ეთიკის კოდექსის და/ან ეროვნული პლატფორმის წესდების დარღვევის შემთხვევებს და სარეკომენდაციო წერილით მიმართავს იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება პლატფორმის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ან/და ეთიკის კოდექსით დადგენილ ნორმებს; დარღვევის გონივრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შეუჩერებს წევრს უფლებამოსილებას და მიმართავს ეროვნული პლატფორმის საერთო კრებას წევრის გარიცხვის რეკომენდაციით.

ე) ეროვნული პლატფორმის საჭიროებიდან გამომდინარე, მოიძიებს ფინანსურ სახსრებს ეროვნული პლატფორმის გასაძლიერებალად და წესდებით დასახული მიზნების განსახორციელებლად ან გასცემს შესაბამის რეკომენდაციას პლატფორმის წევრ ორგანიზაციებზე დაფინანსების მისაღებად იმ საპროექტო წინადადებების შესახებ, რომლებიც ეხება ეროვნული პლატფორმის გაძლიერებას; თავმჯდომარის

წარდგინებით ირჩევს პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილეს საკოორდინაციო საბჭოს წევრთაგან;

ვ) საკოორდინაციო საბჭოს 1/3 წარდგინებით, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს თანამშრომლებს;

ზ) ამტკიცებს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს საქმიანობის შესახებ დებულებას;

თ) ირჩევს ეროვნული პლატფორმის ბეჭდვითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ი) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც წესდების მიხედვით არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას;

კ) პლატფორმის წევრს უფლება აქვს მიმართოს საკოორდინაციო საბჭოს დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის შესატანად;

ლ) იღებს განცხადებებს პლატფორმის სახელით.

10.6. საკოორდინაციო საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ ის ა) აღარ წარმოადგენს პლატფორმაში ან პლატფორმის შესაბამის ჯგუფში იმ ორგანიზაციას, რომლის წარმომადგენლობის ფარგლებში იქნა იგი არჩეული; ბ) ზედიზედ სამჯერ არასაპატიო მიზეზით (ან გეგმიური შეხვედრების ნახევარზე მეტს) არ ესწრება საბჭოს სხდომას. მიზეზის საპატიოდ მიჩნევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკოორდინაციო საბჭო.

10.7. საკოორდინაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში საკოორდინაციო საბჭოს წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ საკოორდინაციო საბჭოს წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან საკოორდინაციო საბჭოს წევრი შეირჩევა საბჭოს მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს გამოკლებული წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

10.8. პირი საკოორდინაციო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.

11. საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარეები

11.1. საკოორდინაციო საბჭოს ორ თანათავმჯდომარეს, თანაბარი უფლებამოსილებით, ირჩევს საერთო კრება, პლატფორმის წევრთაგან, ერთი წლის ვადით;

11.2. პირი საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით;

11.3. საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარის თანამდებობაზე საკუთარი, ან სხვისი კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ეროვნული პლატფორმის ყოველ წევრს, საერთო კრებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე. საერთო კრებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე კი წარდგენილმა კანდიდატმა უნდა დაადასტუროს ნომინაცია და პლატფორმას წერილობით გააცნოს თავისი ხედვა;

11.4. საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარეების უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თანათავმჯდომარეების არჩევამდე;

11.5. საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარეები წარმოადგენენ ეროვნულ პლატფორმას მესამე პირებთან ურთიერთობაში საკოორდინაციო საბჭოს დელეგირებით;

11.6. საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარე (ები):

ა) ხელმძღვანელობს (ბენ) საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობას და უძღვება (ან) მის სხდომებს;

ბ) ხელს აწერ (ენ) ს საკოორდინაციო საბჭოს და ეროვნული პლატფორმის განცხადებებს/მიმართვებს და სხვა დოკუმენტებს;

გ) კოორდინაციას უწევ (ენ) ს ჯგუფებთაშორის საქმიანობას და მიმართავ (ენ) ს მათ რეკომენდაციით;

დ) ხელმძღვანელობ (ენ) ს პლატფორმის სამდივნოს, პლატფორმის გამოცემებს და ვებ- გვერდებს.

ე) ასრულებ (ენ) ს წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

11.7. ერთ-ერთი თანათავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარჩენილ ვადაში თანათავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს მეწყვილე თანათავმჯდომარე.

11.8. საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მათ მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ეროვნული პლატფორმის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის შეუძლია მხოლოდ საერთო კრებას სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

12. პლატფორმის რეგიონული წარმომადგენლობები

12.1. პლატფორმის გაძლიერების მიზნით საქართველოს რეგიონებში შეიქმნება პლატფორმის რეგიონული წარმომადგენლობები;

12.2. წარმომადგენლობების ტერიტორიულ მდებარეობას, პლატფორმის წარმომადგენლის სტატუსს და აღიარების წესს განსაზღვრავს საკოორდინაციო საბჭო ხმათა უმრავლესობით ჯგუფებთან კონსულტაციის საფუძველზე.

13. დავების განმხილველი ორგანო

13.1.1. დავების განხილვის მიზნით იქმნება დავების განმხილველი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია რეაგირება მოახდინოს ეროვნული პლატფორმის წესდებისა და ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის ფაქტებზე.

13.1.2. დავების განმხილველი ორგანოს წარმომადგენლები (3 წევრის შემადგენლობით) ირჩევიან ერთი წლის ვადით პლატფორმის წევრებისგან. დავების განმხილველი ორგანოს წარმომადგენელი არ უნდა იყოს ეროვნული პლატფორმის რომელიმე სხვა არჩევითი ორგანოს წევრი.

13.1.3. ამ ორგანოს დებულებას ამზადებს, მისი არჩევიდან ერთი თვის ვადაში, არჩეული ორგანო და ამტკიცებს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო, წარდგენიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

13.1.4. დებულებაში ცვლილების შეტანა

დებულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია როგორც საბჭოს, ასევე დავების განმხილველი ორგანოს ინიციატივის საფუძველზე.

დებულებაში ცვლილებების ასახვა მოხდება ორივე ორგანოს უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე. (საბჭოს შემთხვევაში საჭიროა - 6 ხმა; დავების განმხილველი ორგანოს შემთხვევაში საჭიროა - 2 ხმა) .

13.1.5. ანგარიშის წარდგენის ვალდებულება

დავების განმხილველი ორგანო ვალდებულია, ყოველწლიურად, საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

წესდების 4.7., 7.1.,10.2, 10.3, 10.5 (ვ), 11, 11.2, 11.3, 11.4, 11.5, 11.6, 11.7, 11.8 მუხლებით გათვალისწინებული ცვლილებები მოქმედებს მომდევნო საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრებამდე. საკოორდინაციო საბჭო დამატებით შეიმუშავებს დებულებას საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის შესახებ.